ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

№ 67

შაბათი, 24 მარტი, 1901 წ.

გაზეთის ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

№ 67

შაბათი, 24 მარტი, 1901 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

კვირას, 25 მარტს, დილის 10 საათზედ, სოფ. ხცისის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში, გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

კნ. ნინო გიორგის ასულის ციციშვილის

სულის მოსახსენებლად.

რასაც შვილი გარდაცვალებულისა **თავ. თომა კონსტანტინეს ძე ციციშვილი** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ. 2—76—1)

პარასკევს, 23 მარტს, ხანგრძლივისა და სასტიკ ს ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქვრივი ტფილისის ნოტარიუსათ ნამყოფის ივანე ეგნატის ძის პოლტარაცკისა

ნადეჟდა ზაქარიას ასული პოლტარაცკისა.

რასაც გულითადის მწუხარებით აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები და ძმები გარდაცვალებულისა. პანაშვიდი გარდახდილ იქნება ყოველ დღე საღამოს 8 საათზედ. განსვენებულის გვამს გაასვენებენ (მოსკოვის ქუჩა, გაბაევის სახლიდგან № 8) ამაღლების ეკკლესიაში ორშაბათს, 26 მარტს, დილის 10 საათზედ; დაკრძალავენ იმავე დღეს სოფელ ოქროყანაში. (2—ნ.—1)

გამოვიდა გასასყიდად **დიდი სურათი**
„ჯგუფი (30 ს.) ქართველ მწერლებისა“.
ფასი გაგზავნით ექვსი აბაზი.

ვინც ათ ცალზე მეტს დაიბარებს, თითო სურათი გაეგზავნება მანეთად.

ადრესი: Тифлисъ, фотографія А. Роинова, Тарасію Момцелидзе.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის ჰ. ვიდევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეებს გარდა

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8–10 საათ.

მიხეილ ვიდევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. ვიდევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ბეზირგანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—$12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1\frac{1}{2}$—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

კვირაობით:

ვ. ვ. მაღალაშვილი—10–12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ძ. ი. ზძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

ვ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7\frac{1}{2}$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არშანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ახალი ამბავი

⁂ მკითხველებს ეხსომებათ ტფილისის ქალაქის საბჭოს 5 მარტის დადგენილება, რომლითაც ქალაქის ხმოსანთა არჩევანი ერთ საარჩევანო კრებაზედ უნდა მოხდეს. საბჭოს დადგენილება წარედგინა დასამტკიცებლად ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს. საკრებულომ, მიიღო რა სახეში ის გარემოება, რომ ქალაქის საბჭოში კენჭისყრის დროს უთანხმოება აღიძრა, დაადგინა გააუქმოს ეს დადგენილება და დაევალოს ქალაქის გამგეობას ხელახლად წარუდგინოს ეს საგანი განსახილველად ქალაქის საბჭოს.

⁂ ხუთშაბათს, 22 მარტს, ტფილისის სასწავლებელთა გამგე კომისიას სხდომა ჰქონდა ქალაქის გამ-

ფელეტონი

უცხოთა შორის

რასა ნატრობენ ბავშვები.—„ახალგაზრდა ნატურალისტთა კლუბები“ ამერიკაში.—„ახალი მუზეუმები“ და გაზეთთა მუზეუმი.—მეცნიერი ქალები და დედაკაცთა რაოდენობა დედამიწაზედ.—ლამაზები უფრო თხოვდებიან თუ ულამაზონი და განქორწინებულთა რიცხვი საფრანგეთში.

რასა ჰფიქრობს ბავშვი? რა აზრითა და ოცნებითაა გატაცებული იმისი გონება და რა იმედებს მოუცავს მისი არსება? ყველა ეს წინადაც ინტერესებდა მოზარდ თაობის სიყვარულით გატაცებულთ და ეხლაც ინტერესებს. ამას წინად ერთ ფრანგულ საბავშვო ჟურნალს თავისს ახალგაზრდა მკითხველებისათვის მიუმართავს და უთხოვნია წერილით შეატყობინონ, ვის რა კაცად უნდა შემდეგში დადგეს.

მეტად საყურადღებო წერილები მიუღია რედაქციას. პასუხი გაუგზავნია ორი ათას ბავშვზედ მეტს. საყურადღებოა ეს პასუხები როგორც შინაარსით, ისე იმ მოსაზრებით, რომლებითაც ბავშვები ხელმძღვანელობდნენ დასახელებულ კითხვის გადაწყვეტის დროს. 442 ქალიდგან 250 ს თავისუფალი პროფესიები და ისეთი საქმეები ამოურჩევიათ, სადაც უფრო გონების ვარჯიშობა და მუშაობაა საჭირო: 17 ქალს უნატვრია მკურნალად გახდომა, 15—ვექილად, 28—მხატვრად, 30—მემუსიკედ, 7—მწერლად, 3—მსახიობად და 143—მასწავლებლად. დანარჩენთ უფრო პრაქტიკული საქმეები ამოურჩევიათ: 51 ქალს შეუთვლია, მკერავად გვინდა გავხდეთო, 35—„მოდის“ მაღაზიები უნდა დავაარსოთო და სხვ. ერთად ერთს ქალს ბებიაობა უნატვრია. ბევრს იდეალად დიასახლისობა დაუსახავს; „როგორიც დედაა, ისეთი მინდა გავხდეო“, დაუმატებია ზოგს თავისს აზრის განსამარტავად.

ვაჟების პასუხები დიდად განსხვავდება ქალებისაგან. სულ რედაქციას 1660 ვაჟისაგან მიუღია წერილი. ამათგან 264-ს, როგორც მოსალოდნელი იყო, გადაუწყვეტიათ პანიბალებად და ცეზარებად გადაქცევა. ბევრი ასეთის გადაწყვეტილების მიზეზსაც ასახელებს: „მე ძლიან მამაცი კაცი ვარ,—სწერს ერთი,—მაქვს მეომრის ქუდი, ხმალი და დალაბანდი“. „მე მინდა ჯარის კაცად გავხდე,—აცხადებს მეორე,—მე ზორბა, ღონიერი და მამაცი კაცი ვარ; ამასთან არც ჭკუა მაკლია“. უმრავლესობას უფრო მხედრის ტანისამოსი, ფორმა იზიდავს. მეორე ადგილი საინჟინერო ხელობას უჭირავს. რკინის გზების გაყვანა, ხიდების გამართვა, გვირაბების გათხრა 236 ბავშვის ოცნებას შეადგენს. ამათი წერილები მოკლე და თავ-დაჭერილია, ვიდრე მომავალ მეომართა წერილები. აშკარადა სჩანს, რომ ეს ბავშვები შემდეგში საქმისა და ფულის კაცებად გადიქცევიან. მეტად გაჭიანურებული წერილები გაუგზავნიათ მომავალ სოფლის მეურნეებს. ამათი წერილები სავსეა თურმე ბუნების აწერილობით, სოფლის სურათებით, და ბევრი პოეზიასაც კი მოკლებული არ არის. სულ 105 ბავშვს უნატრია სოფელში ცხოვრება და მიწის დამუშავება. „მე ღვინის მკეთებელი ვიქმნები,—სწერს ერთი.—ამ ხელობას მამა ჩემი ადგია. კაცის ცხოვრებაში სასოფლო მეურნეობისთანა არაფერია. მე 13 წლისა ვარ. ნაპოლეონი რომ ცოცხალი იყოს, იმის დროშას ამოვეფარებოდი, ხოლო რადგან ეხლა ომები აღარ არის, გუთანს მოვკიდებ ხელს“. დანარჩენთაგან 68 ბავშვს მხატვრობის შესწავლა უნატრია, 98—ზღვაოსნობა, 93—მკურნალობა, 20—ჟურნალისტობა, 10 მღვდლობა. მომავალი მკურნალები ეხლავე უცხადებენ მოძმეთ სიყვარულსა და თანაგრძნობას. „მე ერთს გროშსაც არ ავიღებ, უსასყიდლოდ მოვარჩენ ავადმყოფებსაო“, სწერს ერთი ბავშვი. მოსამართლეობა ერთად-ერთს უნატრია, ისიც კაცთმოყვარეობით: ვეცდები ღარიბებს დავეხმარო და სიმართლე გამოვარკვიოო.

ბავშვთა ფსიხოლოგიის გამოსარკვევად ფრანგულ ჟურნალის მიერ შეკრებილი წერილები კარგი და მდიდარი მასალაა და, ეჭვი არ არის, ამ მასალას არა ერთი და ორი ფსიხოლოგი გამოიყენებს.

⁂

ასეთსავე კარგ მასალას შეადგენს ამერიკაში არსებულ „ბუნების შემსწავლელ ბიუროს“ მიერ შეკრებილი წერილები. ეს ბიურო დააარსეს კორნელის უნივერსიტეტის (ქალაქ იტაკაშია) პროფესორებმა და მასწავლებლებმა. აზრად ამ ბიუროს ისა აქვს, რომ ბავშვები ბუნებას დაუახლოვოს და იმის მოვლენათა შესწავლის სურვილი გაუღვიძოს. კაცი ბედნიერი მაშინ არის, სწერდნენ ბიუროს დამაარსებელნი, როდესაც ყურადღებით და ინტერესით ეკიდება ყველაფერს, რაც-კი გარშემო ახვევია. ის, ვინც მცენარეებსა და ცხოველებს, საზოგადოდ, ბუნებას შეიყვარებს, სამშობლოს სიყვარულსაც შესძლებს. ბიურო სწორედ ამ სიყვარულის გაღვიძებასა სცდილობს მოზარდ თაობის შორის.

ამ აზრის განსახორციელებლად ბიურომ მასწავლებელთა შემწეობით თითქმის ყველგან, სადაც-კი სკოლაა, დააარსა „ახალგაზრდა ნატურალისტთა კლუბები“. ამერიკაში ბავშვთა ამხანაგობანი და კავშირები ჩვეულებრივი საქმეა, ამიტომ არც ამ „ნატურალისტთა კლუბების“ დაარსებას დასჭირდა დიდი შრომა და მეცადინეობა. ბიურომ მხოლოდ თავისი აზრი შეატყობინა დაბეჭდილ ბარათების შემწეობით „საყვარელ ვაჟებსა და ქალებს“, გააგებინა, რა უნდა გააკეთონ, და კლუბების საქმე ხელად გაჩაღდა.

კლუბის წევრთა ერთად-ერთ საქმეს ბუნების შესწავლა შეადგენს: ბავშვებმა მინდორ-ველში სეირნობის დროს უნდა ყურადღებით გასინჯონ მცენარეები, ხეები, მწერები, ცხოველები, აღწერონ ნახული და გაუგზავნონ ბიუროს. კლუბის წევრნი, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, ადგილობრივაც ჰმართავენ კრებებს მცენარეთა და ცხოველთა შესახებ მოსალაპარაკებლად. კლუბს თავისი პრეზიდენტი, მდივანი და სხვა თანამდებობის კაცნი ჰყავს. ბავშვთა წასაქეზებლად ბიურო მუყაით „ნატურალისტებს“ განსაკუთრებულ ნიშნებს უგზავნის გულზედ სატარებლად. ამას გარდა ბიუროს ყოველთვიური ჟურნალი აქვს, „ახალგაზრდა ნატურალისტი“, სადაც ბავ-

გეობის დარბაზში რამდენისამე საქმის განსახილველად. სხვათა შორის კომისიამ განიხილა საკითხი იმის შესახებ, რომ გადადებულ იქმნას საჭირო ფული ტფილისის ქალთა სახელოსნო სასწავლებლისათვის, რომ მოსწავლეთ შეეძლოთ კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენაზედ ნივთების გაგზავნა. კომისიამ დაადგინა გადასდოს 960 მან. 20 კაპ. ტანისამოსისა, საცვლებისა და სხვა ხელსაქმეების დასამზადებლად, რომელნიც გამოფენილ უნდა იქმნენ ქალაქის საკუთარ პავილიონში. ამავე სხდომამ, განიხილა-რა კომისიის წევრის ბ-ნ ლისიციანის მოხსენება ტფილისის სკოლებისათვის საპედაგოგიო მუზეუმის დაარსების შესახებ, დაადგინა შემდეგ სხდომაზედ განიხილოს დაწვრილებით ეს მოხსენება თვით ბ-ნ ლისიციანთან ერთად.

⁂ დღეს, ნაშუადღევის 1 საათზედ, ქალაქის გამგეობისა და კომისიის შეერთებული სხდომა მოხდება ქალაქის მესამე საობლიგაციო სესხის ტირაჟის მოსახდენად.

⁂ გუშინ წინ, 22 მარტს, თავად-აზნაურთა თეატრში ბ-ნმა ფალიაშვილმა კონცერტი გამართა. ხორომ ბ-ნ ფალიაშვილის ლოტბარობით კარგათ შეისრულა სიმღერები, კარგად ჩაიარა აგრეთვე კომედიამ „მე მინდა კნეინა გავხდე“, ქართულ თეატრის არტისტების მიერ წარმოდგენილმა. ხალხი ბლომად დაესწრო.

⁂ 15 მომავალ აპრილისათვის დანიშნულია გორის მემამულეთა სინდიკატის წევრთა წლიური კრება, რომელზედაც, სხვათა შორის, განხილულ იქმნება ამა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა და წარსულ წლის ანგარიში. როგორც წარსული წლის ანგარიშიდგანა სჩანს, სინდიკატის შეძლება გამოიხატა შემდეგის ციფრებით: აქტივი: კასსა—1433 მან. 97 კაპ., მიმდინარე ანგარიში—1494 მ. 40 კაპ., გაცემული კერძო პირებზედ 13,209 მან. 64 კაპ., ჭირნახული 22,333 მან. 55 კაპ., თივა 910 მან. 90 კაპ., ბზე 664 მ. 93 კაპ., სხვა-და-სხვა საქონელი—19,912 მან. 20 კაპ., ავეჯეულობა მოწყობილობა 11,668 მან. 65 კ., მიცემულია ამხანაგობის საჭიროებისათვის 1901 წ. 1253 მ. 61 კაპ., სულ 78,380 მან. 59 კაპ. პასივი: საალებმიცემო თანხა 17,216 მან., სათადარიგო თანხა 3,130 მ. 60 კ., საზოგადო საჭიროების თანხა 1854 მ. 10 კ., აღებული ვალი საკრედიტო დაწესებულებათაგან °/₀—27650 მან., ი. ბეგთაბეგიშვილისაგან 1000 მან., აღებულია ვალად კერძო პირებისაგან უსარგებლოდ 20,349 მ. 09 კ., შესატანია ხაზინაში 5°/₀ 218 მ. 24 კაპ., გაცემულია პროცენტი ამხანაგობის წევრებზედ 753 მან. 36 კაპ., დივიდენდი—574 მან. 48 კაპ., ჯილდო ზედამხედველ კომიტეტის წევრებისა—170 მ. 35 კაპ., მიღებულია ბეები—106 მან., სულ 78,380 მან. 59 კაპ.

⁂ როგორც შევიტყეთ, გურიის ამხანაგობამ „შუამავალმა“ მიჰმართა ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო დამხმარებელ ბანკს და სთხოვა გირაოთი სესხის მიცემა.

⁂ ტფილისის საფიზიკო ობსერვატორიის ყოველ თვიური ბიულეტენების გამოცემა უფულობისა გამო ეს რამდენიმე ხანია შეწყვეტილ იქმნა. ეხლა მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ამ საქმის ხელ ახლად განსაგრძობად გადაუდვია 1,000 მან. რადგანაც ეს ფული საკმაო არ იქმნება ბიულეტენების გამოსაცემად (საჭიროა 2,000 მან.), ამიტომ ობსერვატორიის გამგეს ბ-ნ გლასეკს მიუმართავს კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოსათვის და შეძლებისა და გვარად დახმარება უთხოვნია.

⁂ გუშინ, 23 მარტს, პოლიციის პირველ ნაწილში, ვერის ბაღებში უბედურება დატრიალდა. საქმე ამნაირად მომხდარა. „ტფილისის კრუჟოკში“ ყოფილან ერთად ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ინჟინერ ტეხნიკოსი ივანოვი, გრუზინსკის პოლკის აფიცერი ალექსეევი და სხვანი. კრუჟოკში დროს გატარების შემდეგ, ნაშუაღამევის 4 საათზედ, ივანოვის წინადადებით ყველანი ჩამსხდარან ორს ეტლში და გამგზავრებულან ვერის ბაღებისაკენ. ოლგას ქუჩას რომ მიახლოვებიან ივანოვსა და ალექსეევს ერთმანეთისათვის ეტლში ხმლებით დაუწყვიათ ხუმრობა, რომლის შემდეგ გულიც მოსვლიათ ერთმანეთზედ; ხოლო როცა ბაღებში ჩამომხტარან, შელაპარაკებულან კიდეც. ბოლოს საქმე ჩხუბამდეც მისულა, მაგრამ სხვები ჩარეულან და გაუშველებიათ. როცა ივანოვი წამოუყვანიათ, ალექსეევი დასხლტომია ხელიდგან ერთ გამშველებელთაგანს, უძვრია ხმალი, წამოსწევია ივანოვს და რამდენჯერმე დაუჭრია თავსა და ხელში. ივანოვი მაშინვე მიხეილის სამკურნალოში წაუყვანიათ, სადაც ექიმის შემოწმებით მისი მორჩენა საეჭვოა.

⁂ 11 მარტს, მოსკოვის საისტორიო მუზეუმში ეტნოგრაფიული კონცერტი გაუმართავთ, რომელშიაც, სხვათა შორის, ბ-ნი დ. ი. არაყიშვილის ხოროს რამდენიმე ქართული სიმღერა შეუსრულებია. გაზ. „Курьеръ“ ის სიტყვით, ქართული სიმღერები იქ დამსწრე საზოგადოებას ძლიერ მოსწონებია და ზოგიერთი სიმღერა (ნანინა და სხვანი) რამდენჯერმე განუმეორებინებია; ხოლო ბ-ნ არაყიშვილისათვის ნოტები მიურთმევია.

⁂ როგორც მკითხველებმა უწყიან, ამა მიმდინარე წლის ზაფხულს გლასგოში (ინგლისშია) გამოფენა იმართება, სადაც რუსეთიც იღებს მონაწილეობას. ამის გამო ფინანსთა სამინისტროს უთხოვნია ტფილისის სავაჭრო-სამანუფაქტურო კომიტეტისათვის, მიიწვიოს კავკასიის სამრეწველო ფირმები გლასგოს გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობას დაუდგენია სთხოვოს მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორს, გამოუცხადოს ტფილისელ სტუდენტებს, რომ გამგეობამ ეხლავე გადასწყვიტა დანიშნოს განსვენებულის ამიროვის სტიპენდიები. მსურველთ უნდა მიჰმართონ ტფილისის ქალაქის გამგეობას.

⁂ 20 მარტს ღამით, ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში ვიღაც ბოროტგამზრახველი შეპარულა და კანცელარიიდგან 75 მან. 20 კაპ., მოუპარავს, შემდეგ იატაკზედ ნავთი დაუსხამს და ცეცხლი წაუკიდებია, მაგრამ ადრე მიუსწვრიათ და ცეცხლი ჩაუქრიათ. („Черн. Вѣст.“)

⁂ როგორც „ტფ. ფურც.“-ს ქუთაისიდგან სწერენ, ზოგიერთ კერძო კაცს უთხოვნია სახელმწიფო ქონებათა ადგილობრივ გამგეობისათვის დაეთმოთ ის სახაზინო მიწები, სადაც მადნები იქმნა აღმოჩენილი.

⁂ როგორც გაზ. „ნორ. დარს“ გორიდგან ატყობინებენ, ქალაქ გორის ქალაქის გამგეობას გარდაუწყვეტია, საავადმყოფო დააარსოს და ამისთვის 1000 მან. გადასდოს.

⁂ 21 მარტს, კავკასიის სამეურნეო და სამრეწველო გამოფენის გამგე კომიტეტს უთხოვნია ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისათვის ფული გადასდოს გამოფენის მოსაწყობად.

⁂ ამ თვის დამლევს კავკასიის სამკურნალო საზოგადოების წევრთა წლიური კრება მოხდება.

⁂ როგორც გაზ. „მშაკ“ ახალქალაქიდგან ატყობინებენ, ახალქალაქის მაზრის ზოგიერთ სოფელში მინდვრის თაგვები გაჩენილა.

⁂ ქალაქის გამგეობას დაუდგენია იჯარით აიღოს მადათოვისეულ კუნძულზედ მირზოევის მემკვიდრის მიწა ქ ჩების მოსაკირწყლ ქვების დასაწყ და აძლიოს პირველ სამის წლის გ მავლობაში 1,200 მან. წლიწად ხოლო შემდეგ ორ წელში—2,300 მ

⁂ ბათუმის ქალაქის თვით მმარ ველობას შუამდგომლობა აღუძრავს გზ თა სამინისტროს წინაშე იმის შესახ რომ ბათუმში, ზღვის პირის ქუჩაზ რკინის გზის ლიანდაგზედ ბ და სხვათა გადასასვლელი იქმნას გ თებული.

⁂ 21 მარტს ქალაქის გამგეობ წევრმა ხოსროევმა მოახსენა გამგეობას რომ ნაძალადევის უბანში სასულიერ უწყების მიერ გამართულია ბაღი, რ მელიც სასურველია ქალაქმა შეიძინო გამგეობამ დაადგინა: სთხოვოს წმ. ნ ნოს სასაფლაოს ეკკლესიის სამრევლ სამზრუნველოს აცნობოს გამგეობას რა პირობებით არის ბაღი ქალაქის მ წამი გამართული და არ შეიძლება, რ დაუთმოს ეს ბაღი ქალაქის თვით მმა თველობას.

⁂ სვანეთი. მხოლოდ დღეს მოა წია ჩვენამდე მთიელთა მოყვარული და მათის ჭირ ვარამ-ს საუკეთესოდ გ მომთქმელის მგოსნის რაფიელ ერისთავ გარდაცვალების ამბავმა. ვწუხვართ და კარგვას მხცოვან პოეტისას და ამ დროს ვნუგეშობთ იმითი, რომ აგე რმა „სამშობლო ხევსურისამ“ თავის ხანგრძლივი სიცოცხლე ნაყოფიერ რომ მისი ჭკუა-გონების ნადვაწ ნაამ გვით ყოველთვის და ყველგან იამაყ მთიელ-ბარელი ქართველი, რომ მის სული განისვენებს იმ სახელოვან ქა თველთა სულთათანა, რომელნიც აქვე სოფლათ და სოფელს არგეს.

◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ხ. ითხვისი. (შორაპნის მაზრა). როგორც გაზეთ „ივერიიდგან“ შევიტ ეთ, ქუთაისში 23—25 თებერვალ საურთიერთო საზოგადოების შენობაშ სამეურნეო საგნების შესახებ, მაგალ

შვთა საუკეთესო წერილები იბეჭდება.

თუ რა ხალისით მოეკიდნენ ბავშვები ბუნების კვლევა ძიებასა და შესწავლას, იქიდგანა სჩანს, რომ ბიუროს ყოველ კვირა ამერიკის სხვა-და-სხვა კუთხიდგან 1200 წერილამდე მისდის. ამ წერილების გასაჩხრეკად, წასაკითხად და პასუხების გასაგზავნად უნივერსიტეტთან მოსამსახურეთა მთელი შტატია. წერილებში აწერილია ბუნების ესა თუ ის მოვლენა, ჭიანჭველების ცხოვრება, ბუზებისა და პეპლების აგებულება, მცენარეების მოვლა-მოშენება და სხვა. ბევრგან ბავშვები მცენარეთა და მწერთა კოლექციებსაც ადგენენ. ბევრი საყურადღებო წერილი მოსდის ბიუროს. ერთ ბავშვს რაღაც ახალი მწერი ენახა; სახელი არა სცოდნოდა, მაგრამ ისე კარგად და დაწვრილებით აეწერა, რომ ბიუროში მაშინვე მიმხვდარიყვნენ, რა მწერიც ყოფილა. ჟურნალი დიდ ხელმძღვანელობას უწევს ბავშვებს; არიგებს როგორ უნდა მოიქცნენ, როგორ დარგონ ესა თუ ის მცენარე, მოუარონ ყვავილს და სხვა.

სულ ორი წელიწადია, რაც ასეთი კლუბები დააარსეს და სარგებლობა უკვე თვალსაჩინო მოუტანია. როგორც მასწავლებელთა წერილებიდგანა სჩანს, ბავშვებს ბევრგან ბახჩები და ბაღებიც-კი გაუშენებიათ. სთესავენ თურმე ყვავილებს, კომბოსტოს, კიტრს, საზამთროს, ხახვს და სხვა მცენარეებს, ჰრგავენ ხეებს. ყოველგვარ საქმეს თვით ბავშვებივე ასრულებენ; ერთის სიტყვით, ბავშვები დიდის ყურადღებით აკვირდებიან ბუნებას და ხალისით, ძალადაუტანებლად სწავლობენ სოფლის მეურნეობას. ამერიკელებს იმედი აქვთ, რომ ბავშვები ამ გვარად უფრო დაუახლოვდებიან ბუნებას, უფრო გულდასმით შეისწავლიან მცენარეთა და ცხოველებს, ხალისით მოჰკიდებენ ხელს მეურნეობას, ვიდრე წიგნებისა და იქ წაკითხულ ცნობების წყალობით.

⁂

ლაპარაკი არ უნდა, რომ საკუთარის თვალით ნახული უფრო ბევრს გააგებინებს კაცს, ვიდრე ყურით გაგონილი ან წიგნში წაკითხული. სწორედ ამისათვის აარსებენ შვეციაში „ცის ქვეშ“, როგორც იქ ამბობენ, ამ ბოლოს დროს ახალ მუზეუმებს. ევროპისათვის ასეთი მუზეუმი სრულიად უცნობი ხილია. პირველად ახალი მუზეუმი მეცნიერმა გეზელიუსმა დააარსა სტოკჰოლმის მახლობლად. გეზელიუს აზრადა ჰქონდა დაენახვებინა ყველასათვის, როგორა სცხოვრობდა ძველი თაობა, როგორი მოწყობილება ჰქონდა და სხვა. ამისათვის გეზელიუსმა სტოკჰოლმის მახლობლად ძველებური სოფელი გააშენა: შეიძინა შვეციის სხვა-და-სხვა ადგილას ძველის ძველი ქოხები, ნივთები, ავეჯეულობა, გადმოიტანა ყველა ეს, გამართა სხვა ქოხებიც, ძველებურის მაგვარი, ეკკლესიები, ძველებური ქუჩები, გამართა ბაღები და ბაღჩები იმ გვარი, როგორიც წინად იყო. და თვით ადგილ მდებარეობაც-კი სხვანაირათ მოაწყო. ხალხის მისაზიდავად ამ „სოფელში“ ყოველ წელიწადს იმართება დღესასწაულები, ძველებური ცეკვა-თამაში, სიმღერები, ისტორიული პროცესები, კონცერტები, რომლის დროსაც სახალხო სიმღერებსა და ძველ რომანსებს ასრულებენ. ხალხი მართლაც აუარებელი ეტანება თურმე ამ მუზეუმს. დღესასწაულების დროს ქუჩები და გარეშემო ადგილები სოფლელებითაა თურმე გაჭედილი. გეზელიუსის მაგალითით გამხნევებულთ, სხვაგანაც დაუარსებიათ ამ გვარი მუზეუმები. არამც თუ შვეციაში, ამ ბოლოს დროს ნორვეგიასა და დანიაშიაც განუზრახავთ „ძველებურ სოფლების“ დაარსება.

ერთი გერმანული ჟურნალისტი, რომელიც ამას წინად სტოკჰოლმში ყოფილა, აღტაცებით იხსენიებს „მუზეუმს“. „ვერავითარის წიგნებისა და სახელმძღვანელოების შემწეობით ვერ გავიცნობდი ისე კარგადა და ნათლად შვეციის წარსულს,—სწერს ჟურნალისტი,—როგორც ამ მუზეუმის მეოხებით გავიცანი. ჩემი თავი განვლილ დროის შვილი მეგონა, ისე ძლიერ იმოქმედა ამ მუზეუმმა ჩემზედ; და თუ არ საზოგადოება, რომელიც კატალოგებით ხელში დადიოდა და ათვალიერებდა ძველ ნივთებს, სრულიად გადამავიწყდებოდა, რომ მეცხრამეტე და მეოცე საუკუნოების საზღვარზედ ვდგევარ“.

საყურადღებო მუზეუმი, თუმცა სულ სხვანაირი, დაუარსებია აახენში ვინმე ოსკარ ფერკენბეკს. ამ მუზეუმში დაცულია 500,000 გაზეთი სხვა-და-სხვა ენასა და სხვა-და-სხვა ადგილას გამოცემული. ფერკენბეკმა ამ გაზეთების შეკრებას მთელი თავისი ქონება და ორმოცი წელიწადი მოანდომა. დაარსების დროს ფერკენბეკმა მიჰმართა თითქმის ყველა გაზეთის რედაქციას და დახმარება სთხოვა. ევროპიელ გაზეთების უმრავლესობა სიამოვნებით მიეგება ფერკენბეკის თხოვნას, და დღეს მუზეუმი გაზეთების მეტად ძვირფას კოლექციებს შეიცავს.

საყურადღებოა, სხვათა შორის, ამ მუზეუმში დაცული ნომერი „L'illuminated Quadruple Conste illatian“-სა, 1859 წელს ნიუ იორკში გამოცემული. სიგრძე ამ ნომ სამი ადლი აქვს, სიგანე—ორი. შ იცავს იგი 8 გვერდს, ხოლო თვით გვერდი—13 სვეტს. ორმოცი მუ მთელი რვა კვირა მოუნდა ამ უზა მაზარ გაზეთის აწყობასა და დაბ ჰდვას. ეს გაზეთი საუკუნეში მხოლო ერთხელ გამოდის. ამ გაზეთის შე გენაში მონაწილეობა მიიღეს ამერ კელმა პოეტებმა, ბელეტრისტებმ სწავლულებმა, პროფესორებმა დ მეცნიერმა ქალებმაც-კი.

⁂

„მეცნიერი ქალი“... ერთ საუკუნის წინად ეს ორი სიტყ ყველას ღიმილს მოჰგვრიდა სახეზე დღეს-კი მეცნიერ და სწავლულ ქ ლთა რიცხვი ისე გამრავლდა, რო ეს გარემოება გასაოცარ ამბავს აღ რავისთვის შეადგენს. სხვა ადგილ ჯ აკუთხეს რომ თავი გავანებოთ, მარ ტო პაწაწკინა შვეიცარიაში შე ოფიციალურად ცნობილი მეცნიერ ქალია, ე. ი. ისეთი, რომელნი ლექციებსა ჰკითხულობენ უნივერ სიტეტებში. ამათგან სამი რუსეთ ქვეშევრდომია. სხვათა შორის ბერ ნის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენ ტი ანნა ტამარკინისა ჰკითხულობ ახალ ფილოსოფიისა და ესტეტ ლექციებს; ალისა როდრიგი ბოტ

თად, მევენახეობის, სიმინდის მოყვანისა, ბამბისა და შინაური ფრინველების მოვლა-მოშენების შესახებ საუბრები გაემართავთ. ძალიან კარგი და კეთილი და დიდად სასარგებლო და ნაყოფიერი საგნებიც შეურჩევიათ, მაგრამ სამწუხარო, ჩვენ, სოფლელნი, უცოდინარნი რუსული ენისა, ისე ვუცქერით ამ ლექციებს, ვითომ პარიჟში იკითხებოდეს და არა ქუთაისში, რადგანაც ხელი არ მიგვიწვდება, ვერ მოვისმენთ. ამისათვის, კარგს ინებებენ, ვისაც ჩვენის ბეჩავ სოფლისათვის გული შესტკივა, ლაპარაკს აღძრავდნენ, რომ იქ წარმოთქმული დარიგებანი და ლექციები ჩვენ დაშორებულ სოფლის მეურნეთ გასაგებს ქართულს ენაზედ მოგვაწოდონ ბროშურებით, ან და რომელსამე ქართულს ჟურნალ-გაზეთში დაისტამბებოდეს, რომ ამ გზით მაინც არის შევიძლოთ ჩვენთვის სასარგებლო საგნის გაცნობა!

სამი წელიწადია, რაც დ. ყვირილაში პრაქტიკული სამევენახეო კურსი არსებობს და ყოველ-წლობით ორ-ორი ყმაწვილი სწავლობს. პრაქტიკულად მოსწავლენი იმისთანა მშვენივრად ითვისებენ მევენახეობასა და სხვა-და-სხვა ბოსტნეულობის მოყვანას, რომ მნახველს სწორედ სასიამოვნოდ დარჩება. ამის გარდა, თავისს ცოდნას შემდეგ სოფელში ავრცელებენ და ასწავლიან, სხვა უფრო სასარგებლო და უცნობი მცენარეულობა როგორ უნდა ახეირონ, კარგის ჯიშის ხეხილები როგორ აშენონ. და ან ამაზედ კარგი რა იქნება, რომ ჩვენს დედაენაზედ დაწერილი ადვილად გასაგები წიგნაკები უფასოდ ვრცელდებოდეს ხალხში სხვა-და-სხვა დარგის მოვლისა და მცენარეულობის შესახებ. ერთი ასეთი მაგალითი უკვე ხელთა გვაქვს: ამას წინაზედ საქარის სანერგის გამგეს ბ-ნს სტაროსელსკის ვთხოვეთ, რომ ამერიკულ ვაზის მოვლა-მოშენების დარიგება ქართულს ენაზედ დაებეჭდათ და ხალხში დაერიგებინათ და ბ-ნმა სტაროსელსკიმაც სიამოვნებით მოგვაწოდა იგი. და აი, დღეს ამ წიგნის წყალობით ყველა ოჯახის პატრონი სცდილობს ამერიკული ვაზი ააშენოს და მევენახეობა არ მოჰკლდეს. მაგრამ ერთს შევნიშნავთ, რომ ასეთი წიგნაკები შესაფერის მდაბიო ენით იყოს ადვილად გასაგებად დაწერილი; უამისოდ წიგნი სარგებლობას ვერავის მოუტანს, უქმად დაკარგული შრომა იქნება...

ჩვენი სოფელიც ეღირსა გამოღვიძებას და მალე აქ ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლაც გვექნება გამოწყობილი, რომლის ასაშენებლადაც ფული უკვე ნახევარი შეკრებილია.

როგორც ნამდვილის წყაროებიდგან შევიტყეთ, ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზს ლეონიდს ჯეროვანი განკარგულება მოუხდენია და ეპარქიის ყველა ბლაღოჩინებისათვის მიწერილობანი გაუგზავნია, რომ ჩვენებურს, ეგრედ წოდებულს გაზვიადებულს სტირლებს უკლონ, რადგანაც იგი ხალხს მხოლოდ მიწასთან ასწორებს, ადარიბებს.

წარსულ თებერვლის 27-ში ს. ზოვრეთში (შორაპნის მაზრა) დაასაფლავეს აზნ. დარისპან ნიკოლოზის ძე მდივანი, რომელსაც მრავალმა თავად-აზნაურობამ სცა პატივი და დასაფლავებაზედ თავი მოიყარა. მიწვეული ბრძანდებოდა ყოვლად-სამღვდელო ლეონიდი, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა და სასტიკად გაჰკიცხა ტირილი ესე ფარისევლური და მაზარალებელი. დამსწრე საზოგადოებაზედ სიტყვამ დიდი გავლენა იქონია.

პ. აბდუშელიშვილი

—

ყარსის რკინის გზიდგან. გვორას, 11 მარტს, სომხის მღვდელს მ. გეორქიანცს მხცოვანის პოეტის თავ. რ. ერისთავის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გარდავახდევინეთ. ვიცი, მკითხველი გაიკვირვებს და იტყვის: სომხის მღვდლისთვის რომ არ გარდაეხდევინებინათ, ჩვენები ცოტანი არიან? ან კიდევ, აქნობამდის სად იყვნენ, რომ არ გაახსენდათო? მოგახსენებთ: ჩვენ სამიოდე ქართველი, სამსახურისა გამო, ვიმყოფებით რკინის გზის იმისთანა სადგურზედ, სადაც სულ სომხობაა და მართლ-მადიდებელთა მღვდელი იშვიათია. აი, ამიტომაც მივმართეთ სომხის მღვდელს; რაც შეეხება დაგვიანებას, ეს იმისი მიზეზია, რომ თვით პატივცემულმა მღვდელმა გვითხრა: თერთმეტ მარტისათვის მოგვეცადა, რადგანაც სომხებს 11 მარტს მიცვალებულის სულის მოხსენების ჩვეულება ჰქონიათ; მეც ასე მოვიქეცი და კვირას, 11 მარტს, სამიოდე ქართველი შევიკრიბენით სომხის ეკკლესიაში. ეკკლესია გაჭედილი იყო ხალხით; ჩვეულებისამებრ ხატებს სანთელი ავუნთეთ და ამით ღვთის ვედრებაში მონაწილეობა მივიღეთ; წირვა გათავდა. ხალხს გამოსვლა უნდოდა ეკკლესიიდგან, მაგრამ მღვდელმა შეაჩერა და უთხრა: მოიცადეთ, ერთს საპატიო მართლ მადიდებელს ქართველ მიცვალებულს პანაშვიდი უნდა გარდავუხადოთ. ხალხმა სიამოვნებით მოიცადა და ჩვენც ცქერა დაგვიწყეს სიბრალულის თვალით; ფიქრობდნენ: ალბად ამათ ან მამა, ან ძმა მოჰკვდომიათ და, სამსახურს რომ არ გაუშვია, აქა ჰსურთ უკანასკნელად პატივი ჰსცენ თავიანთ მიცვალებულსო; მაგრამ პატივცემული მღვდელი, როგორც რიგი იყო, სწორედ ისე მოიქცა და ხალხს ჰკითხა: „თქვენ რომელმაც გაგიგონიათ რაფფი, არწრუნი, შირვანზადე, ალაიანცი, პატკანიანცი, სუნდუკიანცი, სუმბატიანცი? როგორ არაო! — იყო ხმა ხალხისაგან. — აი, შვილებო, იმათთანა აზრით გამსჭვალული კაცი ყოფილა ის ადამიანი, რომლისთვისაც ახლა პანაშვიდი უნდა გარდავიხადოთ; მართალია, ის ქართველი იყო, ჩვენ სომხები ვართ, მაგრამ იცოდეთ, რომ მწერალი და მოღვაწე ადამიანი მარტო თავისს ერს არ ეკუთვნის, არამედ მთელს კაცობრიობას; მაშ ვილოცოთ, შვილებო, იმის სულის მოსახსენებლად და ვევედროთ ღმერთს, რომ ყველა ერს, განურჩევლად, მრავალი მოჰკლინებოდეს ასეთი მოღვაწე ადამიანი და ხალხისათვის გულ-შემატკივარიო“. ეს ნამოგლეჯილი სომხის მღვდელი ისე გრძნობით ამბობდა ამ სიტყვებს, რომ ბევრი ვიჯავრე, რატომ ჩვენის მეზობლების ენა არ მესმის-მეთქი, რომ სულ ყველაფერი გავიგო. პანაშვიდს შემდეგ ხალხი დაიშალა და მე მღვდელმა მომიწვია სადილად. ძლიერ მესიამოვნა ის, რომ მღვდლის სახლის კედლებს ამშვენებდა რამდენიმე სომხის მწერლის სურათი, რომელთა ბიოგრაფიაც მოკლედ მომითხრო (მღვდელი რუსულად მელაპარაკებოდა). სწორედ დიდის პატივის ცემის ღირსი იქნება ის ადამიანი, რომელიც სომხის მწერლების ნაწარმოებს ქართველებს გაგვაცნობს და ქართველი მწერლებისას სომხებს გააცნობს... დარწმუნებული ვარ, ნეტარ-ხსენებულის რ. ერისთავის საუკეთესო ლექსები რომ მქონოდა ნათარგმნი სომხურს ენაზედა და უსასყიდლოდ დამეთმო იქ მყოფთათვის, მაშინ უფრო მეტი თანამგრძნობელნი იქმნებოდნენ იგინი და გაიცნობდნენ კიდეც, თუ რას ჰმსახურებდა იგი, რას უმღერდა სიცოცხლეში... ამიტომ სიამოვნებით ვეგებები პატივცემულის ბ. დ. ტერ-ავეთიანცის შენიშვნას, რომელიც „კვალის“ 8 №-შია დასტამბული შემდეგის სათაურით: „ამბები სომხეთა ცხოვრებიდგან“. — ეჭვი არ არის, ამ გარემოებას ყველა სიამოვნებით მიეგებება და ეცდება დაეხმაროს, მხარი დაუჭიროს. საჭიროა არა მარტო სომხურიდგან ქართულად თარგმნა, არამედ ქართულიდგან სომხურადაც ითარგმნოს.

ამის შემდეგ სწორედ საჭიროდ ვთვლი ვუსაყვედურო ალექსანდროპოლში მცხოვრებს ქართველებს, რომელნიც რიცხვით ბევრნი არიან, მაგალითად: სამხედრო ნაწილში გენერლიდგან მოკიდებული უბრალო სალდათამდის მრავალს ქართველს შეხვდებით, მომრიგებელი მოსამართლე და მკურნალიც ქართველებია (უმეტესის სწავლით), მაზრის უფროსის თანაშემწეც ქართველია, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში უფროსიდგან მოკიდებული ფოსტალიონამდის სულ ქართველებია, ვაჭრებსაც შეხვდებით ქართველებს, რკინის გზის სადგურზედ ხომ ნახევარზედ მეტი ქართველობაა, ბუფეტის პატრონიც თავისის მოსამსახურეებით ქართველია და ნუ თუ სირცხვილისა და საყვედურის ღირსნი არ არიან, რომ გლადივოსტოკიდგანა და სხვა უცხო მხარეებიდგან მოდის სამძიმრის დეპეშები და პანაშვიდებს იხდიან და აქ-კი?.. ოხ! თქმისაც-კი მრცხვენია! და მართლაც სირცხვილია, რომ ამდენ „ჩემს ხალხში“ ერთი გულ-შემატკივარი ადამიანი არ ურევია. ისე-კი, შემთხვევის დროს, გაიძახიან:

ოდელია, დელიაო,
საქართველო ჩვენიაო! და სხვ.

ვარდენ ყიფიანი

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი. „Times“-ის კორრესპონდენტი პრეტორიიდგან დიდად რისხდება იმის გამო, რომ ბურები დღემდის გულს არ იტეხენ და ინგლისელებს მორჩილებას არ უცხადებენ და უნებლიედ ომის შესახებ ბევრს რასმეს ამჟღავნებს. კორრესპონდენტი სწერს, მაგალითად, რომ ფრენჩის ჯარს იმედი სრულიად არ გაუმართლებია და ნაყოფი მცირედი გამოუღია. ფრენჩმა ბურებს დიდ-ძალი სურსათი წაართვა, გაჰფანტა 5 დგან 6 ათასამდე კაცი ბურებისა, მაგრამ მხარე მაინც ჯერ ჯერობით მტრისგან განთავისუფლებული არ არის და რკინის გზის ლაინდაკს ამ დღით მოსვენებას არ აძლევენო. მაგრამ ყველაზედ სასაცილო ის არის, რომ ასეთის რიხით ამცნობენ ქვეყანას — ფრენჩმა ხუთიდგან ექვს ათასამდე ბური გაჰფანტაო, — და ავიწყდებათ, რომ ბურების გეგმა სწორედ ეს არის: მტერს ხელიდგან გაუსხლტნენ იმ დროს, როდესაც პირდაპირ შებრძოლებას წასვლა სჯობიან და შემდეგ დანიშნულს ადგილას თავი ისევ ერთად მოიყარონ. ასე იქცეოდნენ იმ თავითვე, ასრე იქცევიან დღესაც ბურები და ინგლისელებს-კი ეს ძარღვი მოქმედებისა ვერ გაუგიათ. და მართლაც განა ის არ სჯობია, მტერს ავნო და თვით უვნებელი დარჩე, თუნდაც ხმა დაგიგდონ — გავდევნეთ და გაგვექცაო? რასაკვირველია, და აკი ბურებიც აგრე იქცევიან. მაგალითად, ყოფილა შემთხვევები, როდესაც ინგლისის ჯარი მთელის ოცის დღის განმავლობაში

ნიკის ლექციებსა კითხულობს ჟენევის უნივერსიტეტში. როდრიგმა მრავალი სამეცნიერო შრომა გამოაქვეყნა. მარგარიტა ზემბროვსკისა ნევშატელის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტია. როგორც ამათ, ისე სხვა სწავლულ ქალთა ლექციებს ყოველთვის დიდ-ძალი სტუდენტობა ესწრება ხოლმე.

მაინც სწავლულ ქალთა რიცხვი ჯერ კიდევ მცირეა, თუ მხედველობაში მივიღებთ ქალთა საერთო რიცხვს დედამიწაზედ. სტატისტიკა კარგა ხანია შეუდგა ამ საერთო რიცხვის გამოანგარიშებას და იმის გამორკვევას, სადა სჭარბობენ მამა-კაცნი და სად დედა კაცნი. მთელ დედამიწის ზურგზედ დღეს სულ $1^1/_2$ მილიარდი სული ითვლება. აქედგან, რასაკვირველია, ნახევარი (ცოტა მეტი ან ცოტა ნაკლები), დედა-კაცები იქმნებიან. ევროპაში 334 მილიონი მცხოვრებია. დედაკაცთა რიცხვი $3^2/_5$ მილიონითა სჭარბობს მამაკაცთა რიცხვს. აზიაში 815 მილიონი მცხოვრებია; მამაკაცნი 16 მილიონით მეტნი არიან დედაკაცებზედ. აფრიკის 27 მილიონ მცხოვრებთაგან 14 მილიონი მამაკაცია, 13 დედაკაცი. ამერიკაშიაც მამაკაცნი ერთის მილიონით აღემატებიან დედაკაცებს, ხოლო ავსტრალიაში (სულ 4 მილიონი მცხოვრებია) $^1/_2$ მილიონით. ამ რიგად დედა-მიწის ზურგზედ სცხოვრობს სულ $649^1/_5$ მილიონი მამაკაცი და $633^4/_5$ მილ. დედაკაცი, ესე იგი პირველნი $15^1/_2$ მილიონით სჭარბობენ მეორეთ.

ევროპაში ქალთა რიცხვი ყველგან არ აღემატება კაცთა რიცხვს: სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებში — იტალიასა, საბერძნეთსა, რუმინიასა, ბოლგარიასა, სერბიასა, ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში თანასწორი რიცხვია ქალებისა და კაცებისა. პოლონეთსა, ინგლისსა, შვეციასა, ნორვეგიასა და პორტუგალიაში 1000 მამაკაცზედ 1060 დედაკაცი მოდის, გერმანიაში — 1039 დედაკაცი, რუსეთსა, საფრანგეთსა, ბელგიასა და უნგრეთში ცოტა ამაზედ ნაკლები. აზიაში, როგორც ზევითაცა ვთქვით, ქალების რიცხვი ბევრად ნაკლებია კაცებისაზედ. გონკონგში, მაგალითად, 1000 მამაკაცზედ 409 დედაკაცი მოდის, ჰავაიში — 533 დედაკაცი. მამაკაცთა და დედაკაცთა რაოდენობაზედ დიდი გავლენა აქვს გეოგრაფიულსა და სოციალურს პირობებს (განსაკუთრებით სოციალურს). შემჩნეულია, რომ დედაკაცი უფრო ეტანება მეზობლებთან ერთობას, იმათთან დაახლოვებას, ვიდრე მამაკაცი. ამიტომ იქ, სადაც მეურნეობა დაბალ საფეხურზეა, სადაც მეთევზეობას, ნადირობას, საქონლის მოშენებას მისდევენ, მამაკაცთა რიცხვი სჭარბობს დედაკაცთა რიცხვს. წინააღმდეგ მოვლენასა ვხედავთ იმ ქვეყნებში, სადაც მრეწველობა და წარმოებაა გავრცელებული, აგრეთვე იქ, სადაც კანონი თანასწორად ეპყრობა მამაკაცსა და დედაკაცს, სადაც განქორწინება გაადვილებულია, დედაკაცს მემკვიდრეობის უფლება აქვს და სხვა. სტატისტიკამ ამ საყურადღებო მოვლენის გამოსარკვევად მრავალი მეტად საინტერესო ცნობა შეჰკრიბა.

⁂

სტატისტიკამ რომ, საზოგადოდ, ბევრი რამ გამოარკვია, ეს დღეს ყველასათვის აშკარაა. მეცნიერების ამ ჯერეთ სულ ნორჩმა დარგმა ნათელი მოჰფინა ბევრს დღემდე ბნელ მოვლენას. ავიღოთ, მაგალითად, გათხოვება და ქორწინება. ვინ უფრო ადვილად გათხოვდება, ლამაზი თუ ულამაზო ქალი? ყველასაგან ერთს პასუხს მიიღებთ — ლამაზიო. სტატისტიკამ-კი, არა ლამაზ ქალთა სანუგეშებლად, სულ წინააღმდეგი გამოარკვია. სტატისტიკოსთა მიერ შეკრებილ ციფრებიდგან აშკარადა სჩანს, რომ მამაკაცნი ულამაზოებს უფრო ეტანებიან (შესართავად), ვიდრე ლამაზებს. ევროპასა და ამერიკაში მეტად ხშირად შეხვდებით ამგვარ განცხადებას: „კარგის შეძლების ყმაწვილი კაცი დაეძებს შესართავად ულამაზო ქალს. ქალი მშვიდობიანის ხასიათისა უნდა იყოს, გონიერი და მხიარული, უმთავრესად კი უშნო და ულაზათო სახის პატრონი“.

ამ უცნაურის მოვლენის საიდუმლოება უთუოდ მამაკაცთა ეჭვიანობით აიხსნება. მამაკაცთა შორის რომ უფრო ბევრი ეჭვიანია, ამას ყველა ადვილად შეამჩნევს, თუ ნაცნობთა და მახლობელთ დაუკვირდება. ხოლო ეჭვიანი კაცი ცოლად უფრო უშნოსა და ულამაზო ქალს შეირთავს, ვიდრე შნოიანსა და ლამაზს, ვინაიდგან სულის სიმშვიდე პირველ შემთხვევაში უფრო მოსალოდნელია, ვიდრე მეორეში.

ერთ ქალაქში მეტად ცნობის-მოყვარე კაცი სცხოვრობდა. ისე ჯვარი არავის დაუწერია ქალაქში, რომ ეს კაცი არ დასწრებოდა. და აი, ბოლოს რა გამოურკვევია ამ კაცს: 100 გათხოვილ ქალში 5 ლამაზი ყოფილა, 10 „კარგის“ სახისა, 15 „გვარიანი“, დანარჩენი 70 უშნო და ულაზათო. ერთ კაცს ამას წინად ლონდონში ხნიერი ქალი შეურთავს ცოლად, მეტად ულამაზო და გონჯი, როდესაც ამხანაგებს სასაცილოდ აუგდიათ, ახლად ჯვარ დაწერილს უთქვამს: ათი წელიწადია, რაც ცოლის შერთვა განვიზრახე; არა ერთი და ორი ლამაზი ქალი ამოვარჩიე, მაგრამ ჯვარის დაწერა მაინც ვერ გავბედე. მიზეზი-კი სულ უბრალო იყო: შევნიშნე, რომ ჩემ ნაცნობთა და მეგობართ შორის ბედნიერად მხოლოდ ისინი სცხოვრობენ, ვისაც ულამაზო ცოლები ჰყავთ; არც ერთი ლამაზის ცოლის პატრონი არ ჰღირსებია ბედნიერ ცხოვრებასაო.

როგორც სტატისტიკურ ცნობებიდგანა სჩანს, განქორწინებულ ქალთა შორისაც უმრავლესნი ლამაზნი და შნოიანნი არიან. საყურადღებო ცნობებს გადმოგვცემს ერთი ფრანგული გაზეთი განქორწინებულთა შესახებ წლითი წლობით იზრდება თურმე განქორწინებულთა რიცხვი. 1891 წელს 7,445 ცოლ-ქმარი განქორწინებულა საფრანგეთში,

1892 წ. . . 7,489 ცოლ-ქმარი
1893 „ . . 8,000 „
1894 „ . . 8,673 „

ი. ა—ძე

ცეცხლისა და ტყვიის ქვეშ ყოფილა და არ სცოდნია-კი, მტერი საიდგან ესვრის. ბურების მხრივ სხვაფრივ მოქცევა სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა, მაშინ როდესაც ინგლისელებს ერთი ათად და ოცად მეტი ჯარი ჰყავთ სამხრეთს აფრიკაში. ამისათვის, კორრესპონდენტი აუცილებელ საჭიროებად სთვლის, რომ სამხრეთს აფრიკაში ინგლისმა ახალი და დასვენებული ჯარი საკმაოდ გაჰგზავნოს, თუ რომ ჰსურს ომმა რამდენსამე წელს კიდევ არ გასტანოს.

— აფრიკანდერთა კავშირის სახელით ინგლისის საზოგადოებათა პალატას წარუდგინეს სამხრეთ აფრიკის დღევანდელი სამწუხარო მდგომარეობა, რომელმაც დიდი აზრთა სხვა-და-სხვაობა გამოიწვია. პალატაში თხოვნის წარმდგენელებმა, კაპის პარლამენტის დეპუტატებმა ბ-ნთ მერრიმანმა და ზაუერმა განაცხადეს, რომ კაპის ახალშენის მცხოვრებნი ომისა გამო ამ ჟამად დიდად შეწუხებულნი არიან და შემდეგ კიდევ უფრო მეტი უბედურობა მოელით; მაგრამ, რადგანაც გარდაწყვეტილება უკვე მიღებულია, ურჩევენ მთავრობას მოსალოდნელი გაჭირვება მომავალში თავიდგან როგორ აიცილოს.

— ახალშენთა მინისტრმა ჩემბერლენმა განაცხადა პალატაში, რომ ბოტა ალფრედ მილნერს მოლაპარაკების დროს მეტად მკვახედ და უზრდელად მოეპყრობია. „Allg. Zeitung"-ში მოთხრობილია მიზეზი იმისა, თუ ესეთი საქციელი ბოტასი რას გამოუწვევია. მილნერს მთელი ტრანსვაალი და სამხრეთ-აფრიკა მტრის თვალით უყურებს, მარტო იმიტომ კი არა, რომ იგი სცდილობს არა სასურველი პოლიტიკა ინგლისისა განახორციელოს, არამედ იმიტომაც, რომ იგია წარმომადგენელი ტომობრივის ბრძოლისა სამხრეთს აფრიკაში. იგი ჰოლლანდიელთ მუდამ მტრულად და უპატიურად ეპყრობოდა, როცა მათ მხრივ ბუნებრივს წინააღმდეგობასა და მტრობას იწვევდა. მილნერი მხოლოდ იმასა სცდილობდა, რომ ჰოლლანდიელნი როგორმე შეურაცხ ეყო და ამას-კი, ეჭვი არ არის, იგინი ვერ მოუთმენდნენ და ღირსებად არ ჩაუთვლიდნენო.

— როდესაც ინგლისელი ჯარისკაცნი სროლაში ვარჯიშობდნენ, მილნერი სასროლ მიზნად ჰოლლანდიელ გამოჩენილ სარდლების სახეს უდგამდა, გარს მუდამ როდსის მენამცეცენი და მისი მომხრე ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელნი ეხვია და სხ., რომელთაც შემდეგ თითონვე ჩასჩურჩულებდა, თუ რა უნდა დაეწერათ და მხარი რისათვის და ვისთვის დაეჭირათ. მოსალაპარაკებლადაც მილნერმა ჰოლლანდიელთა შეურაცხყოფისათვის მათი გაკრეჭილი მღვდელი გოფმეიერი გაგზავნა პირველად, რომელსაც ერთობ დიდი ჯამაგირი დაუნიშნა. მაგრამ ეს თითონ კიტჩენერმაც დიდ შეურაცხყოფად მიიღო შემდეგ და უარ-ჰყო იგი, როგორც აგენტი მოლაპარაკებისა. იოჰანესბურგსა და პრეტორიაშიაც ადმინისტრაციის წევრებად სულ როდსის მენამცეცენი დანიშნა და უმაღლესი ადგილებიც ჯემსონის შესევის მონაწილეთ დაურიგა, რითაც მოქალაქობრივი გრძნობა ჰოლლანდიელებისა დიდად შეურაცხ ჰყო.

ასეთია აღნიშნული ერთგული მსახური ინგლისის იმპერიალიზმისა და, თუ ამის შემდეგ ბოტა მას პატივით ვერ შეეგებებოდა, საკვირველი სრულიადაც არ უნდა იყოს.

◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები.

შვეიცარიელ ფოტოგრაფს ვოტიეს გამოუგონია ახალი აპპარატი, რომლის შემწეობითაც შორს მანძილზედ შეიძლება სურათის გადაღება. აპპარატი შვეიცარიის საგენერალო შენობაში გამოუცდიათ და ძალიან მოსწონებიათ. ამ აპპარატით შეიძლება თურმე რისამე გადაღება ორასის ვერსის მანძილზედ.

* *

ამ ცოტა ხანში ლონდონში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ის ნივთები, რომლებიც ოდესღაც ინგლისის დიდებულ პოეტს ეკუთვნოდა. ვაჭრობას ჰმართავს პოეტის ერთი შორეული ნათესავი, რომელსაც ნაწილი ნივთებისა მემკვიდრეობით მიუღია, ხოლო მეორე ნაწილი კიდევ სხვა-და სხვა დროს შეუძენია. ნივთებს შორის არის: მოწმობა ბაირონის ქორწინების შესახებ, ხმალი, რომელიც პოეტს ბერძნებმა მიართვეს მისსოლონგში, საჩუქრები, რომელნიც ბაირონს დედისაგან მიუღია პატარაობისას, როდესაც სწავლობდა, დედის სურათი, საგზაო საწერელი, რომელსაც „ჩაჰილ-ჰაროლდის" დაწერის დროს ხმარობდა პოეტი, დამბაჩა, ბეჭედი და სხვა. მთელ კოლექციაში პატრონი 20,000 მანეთსა თხოულობს თურმე.

* *

ნორვეგიელი მოგზაური ამმუნდსენი, რომელიც მონაწილეობას იღებდა სამხრეთ პოლიუსთან მდებარე ადგილების გამოსაკვლევად წასულ ბელგიელთა ექსპედიციაში, ეხლა ამზადებს ახალ ექსპედიციას გრენლანდიის ჩრდილოეთ ნაპირების გამოსაკვლევად. ამმუნდსენი 1902 წლის გაზაფხულზედ გაუდგება გზას; თან მოგზაურს 12 კაცი მიჰყავს.

* *

ამ ცოტა ხანში დაიბეჭდება თურმე „ეშმაკის კუნძულზედ" მყოფ ალფრედ დრეიფუსის წიგნი ამ სათაურით: „ხუთი წელიწადი ჩემის ცხოვრებისა". ავტორს აზრადა აქვს შემოსავალი საქველმოქმედო დაწესებულებათა სასარგებლოდ გადასდოს.

* *

შარშან იაპონიაში 2000 დრო-გამოშვებითი გამოცემა იბეჭდებოდა, აქედგან 400-ზედ მეტი დღიური გაზეთი იყო. მარტო იაპონიის სატახტო ქალაქს ტოკიოში 20 ყოველდღიური გაზეთი გამოდის თურმე.

◆

ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო ალ. ს. ხახანაშვილის მიერ შედგენილი ორი წიგნი: 1) „Очерки по исторіи Грузинской словесности". Выпускъ 3 й. „Литература XIII—XVIII вв." წიგნი გამოცემულია მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ რუსეთის საისტორიო საზოგადოებისაგან. წიგნში 432 გვერდია და ღირს 3 მან. ამ წიგნის ბიბლიოგრაფია ჩვენ უკვე დაბეჭდილი გვქონდა. 2) „Прошлое Грузіи" (საქართველოს რუსეთთან შეერთებიდგან ასის წლის შესრულებისა გამო.) ეს სტატია ამოღებულია ჟურნალ „Вѣстникъ всемірной исторіи"-დგან.

◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 მარტი.

პეტერბურგი. 21 მარტს ცარსკოე სელოს სასახლეში უმაღლესის თანადასწრებით გამართულ იქმნა სადილი ინგლისის საგანგებო დესპანის პატივსაცემად.

22 მარტს პეტერბურგის ოლქის სასამართლო შეუდგა შტაბს-კაპიტანის გეკკერის საქმის განხილვას, რომელსაც ცნობილ პეტერბურგელ ოკულისტის დონბერგის მოკვლა ჰბრალდება. 41 მოწმეა დაბარებული. ბრალსა სდებს ბრალმდებლის ამხანაგი ნოვიცკი, იცავენ ნაფიცნი ვექილნი მარგოლინი და მირონოვი.

პარიჟი. ვალდეკ რუსსოს დღით გაუკეთეს ოპერაცია, შუადღისას მინისტრი უკეთ გახდა; სიცხე არა აქვს.

შანჰაი. ნიდერლანდიის მთავრობამ ჯილდოდ ინდოეთიდგან ჩინეთში ნიდერლანდიის სამხედრო გემების გაგზავნისათვის ასი ათასი გირვანქა სტერლინგი მოითხოვა.

შანჰაი. ლიუჩუანის მეცადინეობით ტუნფუსიანი საიდუმლოდ სინანფუში ყოფილა. ტუნფუსიანს იმპერატრიცა უნახავს და ურჩევია იმისათვის, მანამდე არ დაბრუნდეს პეკინში, ვიდრე მოკავშირეთა ჯარი იქ არის.

23 მარტი

პეტერბურგი. „Правит. Вѣст."-ში, ჩინეთის საქმეთა ისტორიულ მსვლელობის აღნიშვნისა და მთავრობის განცხადებათა და სადიპლომატო აქტების გამოქვეყნების შემდეგ, დიბეჭდილია მთავრობის ცნობა, რომელიც ასე თავდება: „იმ საზოგადო კითხვების გადაწყვეტამდე, რომელიც შეეხება სახელმწიფოთა ურთ ერთ დამოკიდებულებას ჩინეთში, მთავრობამ დროს შესაფერად სცნო იზრუნოს ჩინეთის იმ ოლქების მოწყობისა და საქმის ვითარებათა განწესრიგებისათვის, რომელნიც რუსეთს მეზობლად მდებარეობენ. ამ აზრით უპირველესს ყოვლისა რუსეთის სამხედრო მოხელეთა და მანჯურიის სამ პროვინციის ძიუნებს შორის დადებულ იქმნა დროებით წერილობითი პირობანი—modus vivendi—ადგილობრივ სამოქალაქო მართვა გამგეობის აღდგენის შესახებ. ამის შემდეგ საიმპერატორო მთავრობამ შეიმუშავა პროგრამა ჩინეთის კერძო ხელშეკრულებისა, რომლითაც განსაზღვრულია თანდათანობითი ევაკუაცია მანჯურიისა, და აგრეთვე დროებითი ღონისძიებანიც ამ ოლქში მშვიდობიანობის უზრუნველ საყოფელად და მომავლში ისეთი ამბების თავიდგან ასაცილებლად, როგორიც შარშან მოხდა. სამწუხაროდ, უცხო ქვეყნების ჟურნალ-გაზეთობა, რუსეთის წინააღმდეგ საზოგადოებრივ აზრის ასაღელვებლად, ავრცელებდა საშიშ ხმებს საიმპერატორო მთავრობის მიზანთა და განზრახვათა შესახებ, ჰბეჭდავდა გადამახინჯებულ მუხლებს რომელიღაც ხელშეკრულებისას მანჯურიაში პროტექტორატის დაწესებისა და აგრეთვე ცრუ ცნობებს რუსეთსა და ჩინეთს შორის განზრახულ ხელშეკრულების შესახებ. ნამდვილად-კი ეს ხელშეკრულება დასაწყისად უნდა გაჰხდომოდა საიმპერატორო მთავრობის მიერ წინად გამოცხადებულ სურვილის განხორციელებას მანჯურიის უკანვე დაბრუნების შესახებ, მანჯურიისა, რომელიც რუსეთის რაც შეეხება საბოლოოდ ამ ოლქის უკანვე დაბრუნებას, თავისდათავად ჯარმა მხოლოდ განვლილ წელს მომხდარ საშიშო ამბების გამო დაიჭირა. შესაფერ სამხედრო განკარგულებათათვის საჭირო იყო გადაწყვეტა საკითხისა,—შესაძლებელია თუ არა ურთ-ერთ შეთანხმებით, ამასთან ეხლავე, მანჯურიის ევაკუაციის მოწყობა. როგორც მიღებულ ცნობებიდგან სჩანს, რუსეთთან ამგვარ შეთანხმების დასადებად ჩინეთის მთავრობას დიდი დაბრკოლებანი აღმოუჩინეს, რის გამოც განუხორციელებელი შეიქმნა უკვე შემუშავებულ ზომების მიღება მანჯურიის თანდათანობითი ევაკუაციისათვის. აშკარაა, რომ ამ აზრის განხორციელება შეიძლება მხოლოდ იმპერიაში ნორმალურ წეს-რიგის აღდგენისა და სატახტო ქალაქში ასეთ დამოუკიდებელ და ძლიერ მთავრობის დამყარების შემდეგ, რომელსაც შეეძლოს უზრუნველ ჰყოს განვლილ წელს მომხდარა ამბავთა განუმეორებლობა, დაიცვას ეხლანდელ დროებითი ორგანიზაცია მანჯურიაში რუსეთის საზღვართან წეს-რიგებისათვის და არ გადაუხვიონ წინანდელ არა ერთხელ გამოქვეყნებულ საპოლიტიკო პროგრამმას. საიმპერატორო მთავრობა დაუცდის საქმის ვითარებათა შემდეგს მსვლელობს".

◆



როიალები

პიანინო

ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.

ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილწვრილად გადახდით.

პრეისკურანტები
მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი
სამუსიკო იარაღებისა
ბ. მ. მირიმანიანისა
музыкальное депо
М. МИРИМАНЯНА
Тифлисъ. Дворцовая ул.
(24—5.—11)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.

ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე"

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე" არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.
ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—46)

ბიბლიოგრაფიული განცხადება

კონა. პირველ დასაწყისი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ, მეხუთე სურათებიანი გამოცემა, საკუთრება წერა-კითხვის საზოგადოებისა, ფასი ყდით ორი აბაზი. ვინც ოცს ცალზე ნაკლებს არ იყიდის, წიგნი დაუთმობა 32 კაპეიკად.

იავნანამ რა ჰქმნა? მოთხრობა ცხრა სურათით, გამოცემა მესამე, ფასი ერთი შაური. საკუთრება წერა კითხვის საზოგადოებისა.
(6 – 2)

მომავალი დღესასწაულებისთვის
ისყიდება კახეთის საუკეთესო ღვინოები

ვედრო 2 მ. 40 კ.-დგან ვიდრე 10 მანეთამდე, ბოთლი 15-დგან ვიდრე 1 მანეთამდე. სარდაფები იმყოფება: 1, შუა-ბაზრის თავში, წინამძღვაროვის შენობაში; 2, ოლღას ქუჩაზედ, გაბაევის შენობაში. მსყიდველებს შეუძლიათ როგორც აქ, ტფილისში, აგრეთვე სხვა-და-სხვა ქალაქებიდგანაც მოითხოვონ ფულით, აგრეთვე „ნალოჟენი პლატეჟით".
ს. ი. კურდღელოვი და ამხ.
(2—73—1)

Дозволено цензурою· Тифлисъ, 23-го Марта 1901 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.